MES 1 20 0001124556

26/11/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 16 ნოემბერს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/82658506169
Meeting ID: 826 5850 6169

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე;
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
გიორგი ტრაპაიძე - სს ,,ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;
ნატო ქიტიაშვილი - სს ,,საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;
ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
ნოდარ მამინაიშვილი - აა)იპ - არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ ცენტრ ,,მზიანი სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; **ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „აისი“
მალხაზი ასლამაზაშვილი - დირექტორი
დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე
ლელა ბერიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგი“
რუსუდან სუხიშვილი - კოლეჯის დირექტორი
ნინო დვალი - ხარისხის მენეჯერი
ივანე ბალახაშვილი - იურისტი

სსიპ - კოლეჯი „იბერია“
ირაკლი ავალიანი - კოლეჯის დირექტორი
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
მარიეტა თაბაგარი - ,,მეხილეობა-მეჩაიეობის" პროგრამის ხელმძღვანელი
ავთანდილ გელხვიიძე - იურისტი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“
რაინდი ლომაია - კოლეჯის დირექტორი
ავთანდილ ჭანკვეტაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:
ტიტე ბოლქვაძე
ვალერი ჯაჯანიძე
თამარ რემიშვილი
თათია კაციტაძე
ინგა ბაქრაძე
ირაკლი სალუქვაძე
ქეთევან გელაშვილი
ნანა შარაბიძე
მზია ბაკურიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო - 14:03 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი

1. სსიპ - კოლეჯი „აისის“ საგანმანათლებლო პროგრამის - „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ საგანმანათლებლო პროგრამების - „საექთნო განათლება“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯი „იბერიის“ საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა-მეჩაიეობა“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა’
4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ფარმაცია (სააფთიაქო)“ - პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);
5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ფარმაცია (სააფთიაქო)“ - პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი).

1.სსიპ - კოლეჯი „აისის“ საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწი ლის შეკეთება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ტიტე ბოლქვაძემ, მან აღნიშნა, რომ მონიტორინგზე იმყოფებოდა ჯგუფის წევრ ვალერი ჯაჯანიძესთან ერთად, რომელიც ასვეე მონაწილეობდა აღნიშნულ დაწესებულებაში განხორციელებული წინა ვიზიტის დასკვნის მომზადების პროცესში, რამაც დიდი დახმარება გაუწია ჯგუფს მონიტორინგის შესრულების პროცესში. მონიტორინგი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N997959 ბრძანების საფუძველზე. ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ „აისის“ მიერ ავტორიზაციის პირობის შესრულების მონიტორინგი, პროფესიული საგანმანათლებლო პრგრამის - „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ - ფარგლებში, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №997959 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.გ) კომპონენტთან დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება. მონიტორინგი განხორციელდა ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (არაგეგმიურად). ექსპერტმა აღნიშნა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ვიტიზი განხორცილდა დისტანციურად, ონლაინ პლატფორმა Zoom-ის საშუალებით, წინასწარ დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა დოკუმენტაცია. მან განმარტა მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასებაზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სამი რეკომენდაცია.

რეკომენდაცია 1. ითვალისწინებდა 2.2.1 კომპონენტის მეორე ინდიკატორი გამოსწორებას. რეკომენდაცია მდგომარეობდა შემდეგში, რომ პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავთ მხოლოდ ორი განმახორციელებელი. ვიზიტის დროს განმახორციელებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ორი პროფესიული მასწავლებლიდან ერთი შეძლებს მხოლოდ ე.წ. თეორიული პროფესიული მოდულების სწავლების განხორციელებას, ხოლო პრაქტიკულ მოდულებს გაუძღვება მეორე მასწავლებელი, იმდენად რამდენადაც პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შეუძლია მხოლოდ ერთ პროფესიულ მასწავლებელს. ჩნდება კითხვები, რა სახით მოხდება აღნიშნული პიროვნების

ჩანაცვლება მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის (როგორიცაა ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულება, საავადმყოფო ფურცლის გამოყენება) და სხვა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ღონისძიების შემთხვევაში. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირის ჩამნაცვლებლის მოძიება. მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორცილებული სამუშაოს შემდეგ დადგინდა, რომ სასწავლებელის მიერ შესრულებულ იქნა რეკომენდაცია და მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლად დაწესებულების მიერ დამატებულ იქნა პროფესიული მასწავლებელი, რაც გამორიცხავს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ჩავარდნის რისკს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის შესრულება გადამოწმდა გამოგზავნილი დოკუმენტაციით, განმახორციელებლების პირადი საქმეებით, ასევე პროგრამით, სადაც მოდულებში იქნა სპეციალური ჩასწორებები განხორციელებული. ასევე, მან აღნიშნა, რომ მოხდა ექსპერტების მიერ პროგრამის განამახორციელებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ონლაინ გასაუბრება, რითაც მათ გადაამოწმეს მიღებული ინფორმაცია. ექსპერტები თვლიან, რომ რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული სასწავლებლის მიერ.

რეკომენდაცია 2. გაცემული იყო 2.2.1 კომპონენტის მეორე ინდიკატორის ფარგლებში და გულისხმობდა შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსწორებას.

განმახორციელებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია მიმართულება/პროგრამის სახელწოდება, მაგრამ არა კონკრეტული მოდულები, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია, ,,ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით". აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებში, ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება, რომელსაც წაიკითხავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომედაცია შესულებულია, შრომით ხელშეკრულებებს დაემატა დანართი (რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს), სადაც მითითებულია მოდულები, რომელთა განხორციელებაც ევალებათ განმახორციელებლებს, ასევე, ხელშეკრულებაში გასწორდა ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ და მოყვანილ იქნა შესაბამისობაში საქართველოს შრომის კოდექსთან.

ექსპერტი ამბობს, რომ ჩასწორებული ვერსია გადაამოწმა შრომის კოდექსთან მიმართებაში და სრულებით შეესაბამება მოთხოვნებს.

რეკომენდაცია 3. ეხებოდა 2.2.1 კომპონენტის მესამე ინდიკატორს: პროგრამის - ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ - პროფესიული მოდულის - ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები, განმახორციელებლად წარმოდგენილია ინგლისური ენის პროფესიული მასწავლებელი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგების: ტექნიკური აბრევიატურებისა და სიმბოლოების განსხვავება; ბლოკ-სქემებისა და პრინციპული სქემების წაკითხვა-ანალიზი; ბლოკებსა და მიკროსქემებზე აბრევიატურებისა და სიმბოლოების ამოკითხვა-გაანალიზება; ტექნიკურ ლიტერატურაში მოცემული მასალების გააზრება, მხოლოდ ინგლისური ენის მასწავლებლის კომპეტენციით შეუძლებელია. რეკომენდებულია მოხდეს აღნიშნულ მოდულზე განმახორციელებლების დამატება და თანაგანმახორციელებლად დაემატოს პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი. მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ ეს რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია. პროფესიული მოდულის „ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები“ ინგლისური ენის მასწავლებელთან ერთად მოდულს განახორციელებს ასევე, დარგის სპეციალისტიც. ინფორმაცია ასახულია პროგრამის მოდულის ჩანაწერებშიც, ადამიანური რესურსში და ასევე, ასახულია ხეშეკრულებებშიც და ხელშეკრულებების დამატებებში. აღნიშნულ პიროვნებას განესაზღვრა, რომ უნდა შეასრულოს ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ - პროფესიული მოდულის განხორციელებაც. ასევე, ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის დროს დაწესებულების ტექნიკურ

აღჭურვილობასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციაზე და განაცხადა, რომ წინა ვიზიტის დროს დაწესებულებას სრულად არ ჰქონდა წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული ყველა აღჭურვილობა, რადგან სასწავლებლის განმარტებით, მიმდინარეობდა მათი შესყიდვის პროცედურა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისთვის საბჭოს სხდომის ოქმიდან იყო ცნობილი, რომ სხდომაზევე იქნა წარმოდგენლი შესყიდული პროდუქციის ფოტო მასალა. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი მიღება-ჩაბარების აქტებით და ასევე, ფოტო მასალით, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ დაწესებულებას უკვე სრულად აქვს აღჭურვილობა, ასევე აქვე აღნიშნავს, რომ ონლაინ პლატფორმა Zoom-ის საშუალებით მოხდა ვიდეო ჩართვა, რითაც მათ გადაამოწმეს, რომ დაწესებულებას სასწავლო მიზნების მიღწევისთვის, პროგრამის სწავლის შედეგების მისაწევად აუცილებელი ტექნიკა ნამდვილად აქვს.
ექსპერტმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ფოტო მასალა, სადაც აღბეჭდილი იყო დაწესებულების მიერ შეძენილი აღჭურვილობა და აღნიშნა, რომ მიღება-ჩაბარების აქტები დეტალურად იქნა გადამოწმებული და მათი ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს, რადგან დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერებით და ვიზუალური დათვალიერებითაც დგინდება, რომ სასწავლებელმა გასწია აღნიშნული სამუშაო და შეიძინა აღჭურვილობა. ასევე, წინა ვიზიტის დროს დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო რესურსის განახლებასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ მან ექსპერტთა წინა დასკვნიდან და საბჭოს სხდომის ოქმიდან გაარკვია, რომ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით პრობლემას წარმოადგენდა ცოტა მოძველებული ლიტერატურა. ექსპერტის თქმით, სასწავლო რესურსი განახლებულია და ასახულია მოდულებსა და პროგრამაში, გარდა იმისა, რომ განაახლეს პროგრამა, ასევე, მათ შეიძინეს სასწავლო რესური, წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯგუფის მიერ მოხდა სახელმძღვანელოების დათვალიერება და გადამოწმება ონლაინ პლატფორმა Zoom-ის საშუალებით და ასევე, გადამოწმებულ იქნა საბიბლიოთეკო დამუშავების წესი, და ნახეს, რომ მათ მიერ გადამოწმებული ყველა სახელმძღვანელო უკვე დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იგი დაეყრდნო ბატონი ვალერის, როგორც დარგის ექსპერტის შეფასებას პროგრამის მიზნებთან სახელმძღვანელოების შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის განცხადებით, დაწესებულებამ სრულად შეასრულა მიღებული რეკომენდაციები. აქვე მომხსენებელმა აღნიშნა მონიტორინგის განხორცილების პროცეში წარმოქმნილი პრობლემა, რაც ითვალისწინებდა სასწავლებლის დიდ ტერიტორიაზე განფენილობას, რამაც გაართულა გადამოწმების პროცესი, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებს უწევდათ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე მრავალჯერადი გადაადგილება და დასძინა, რომ პრიცესის წარმართვა გაცილებით ეფექტური ადგილზე ჩასვლის შემთხვევაში იქნებოდა, მაგრამ კოვიდეპიდემიასთან დაკავშირებული მდგომარეობა არ იძლეოდა ამის საშუალებას.

ექსპერტმა დაასრულა პრეზენტაციის წარდგენა და საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით დარგის ექსპერტს, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია აღჭურვილობის ნაწილთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტურია მიღება - ჩაბარების აქტების გადამოწმებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობა და ასევე, გამოთქვა ინტერესი, თუ იქნებოდა შესაძლებელი სამომავლოდაც ამ პრაქტიკის დანერგვა და მონიტორინგის, ვიზიტის გარეშე განხორციელება, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ არ ფიქრობს, რომ სამომავლოდ შეძლებენ ამ ფორმატში მუშაობას, ექსპერტის თქმით ეს პროცესი საკმაოდ რთულია, მისი შეფასებით მხოლოდ 30 % -ითაა შესრულებადი, რამდენადაც მისთვის ძირითადი ინფორმაცია კონკრეტულ იმ მატერიალური ბაზის შეძენის თაობაზე იყო მიღება-ჩაბარების აქტები, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და სარწმუნო ინფრმაცია, ვინაიდან ფოტო-ვიდეო გადაღება შესაძლოა შესყიდვის გარეშეც განხორციელდეს. მიღება- ჩაბარების აქტებით დადგინდა აღჭურვილობის ნამდვილობა. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ინფორმაციით/მარკა და მოდელი,

დარგის ექსპერტმა დაადგინა, რომ აღჭურვილობა მოდიოდა შესაბამისობაში ჩარჩო-დოკუმენტით მოთხოვნილ საჭიროებებთან, რაც კოლეჯს წარმოდგენილი ჰქონდა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ შესყიდვების გეგმაში, აქვე აღნიშნა, რომ ეს გეგმა მათ წარმოდგენილი ჰქონდათ საბჭოს წინა სხდომაზე.

დარგის ექსპერტმა ასევე ისაუბრა ლიტერატურაზე და აღნიშნა, რომ სასწავლებელს წარმოდგენილი აქვს ქართულ ენაზე არსებული უახლესი ლიტერატურა, რომელიც ასევ საბიბლიოთეკო წესითაა დამუშავებული. რაც შეეხება კონცენტრაციის მოდულებისთვის საჭირო ლიტერატურას, მათ ეს ლიტერატურა წარმოადგინეს საბჭოს წინა სხდომის დროსაც, ამიტომ ამაზე აღარ იყო შეკითხვები ამ ეტაპისთვის. დარგის ექსპერტის თქმით, ერთადერთი ნაკლი, რაც მან აღმოაჩინა და შეუძლია აღნიშნოს, არის ის, რომ მოწყობილობები, რომლებიც დაწესებულებამ შეიძინა ჯერ კიდევ არის დასაწყობებული, ანუ ის არ იყო დამონტაჟებული და მოქმედებაში, თუმცა ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ კონცენტრაციის მოდულები ჯერ არ იწყება და ამიტომ ამ ეტაპზე არ წარმოადგენს პრობლემას და იმედი გამოთქვა, რომ სანამ დაიწყება კონცენტრაციის მოდულები, ისინი მოასწრებენ ბაზის გამართვას. სხვას რაც შეეხება, ყველაზე დიდი მინუსი დაწესებულებაში წინა ვიზიტის დროს იყო ის, რომ მათ არ ჰქონდათ თვლების შეყრის კორექტირების აპარატი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სავალი ნაწილის პროგრამაში, ამ ეტაპზე უკვე შეძენილი აქვთ, თუმცა დამონტაჟებული არ აქვთ და აქვე აღნიშნა, რომ დამონტაჟებას დიდი დრო არ სჭირდება და მოასწრებენ დამონტაჟებას. გამოხატა სურვილი, რომ კარგი იქნებოდა, თუ მას დახვდებოდა დამონტაჟებული და მოქმედებაში მოყვანილი აპარატი. მან ასევე აღნიშნა, რომ ყველა მოწყობილობა, მატერიალური რესურსი, რაც საჭიროა ამ პროგრამაში, როგორც კონცენტრაციის, ასევე, საერთო პროფესიული მოდულების მიზნების მისაღწევად, ასევე ლიტერატურული რესურსი არის სრულად წარმოდგენილი.

ექსპერტთა პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა ექსპერტებს დამაზუსტებელი კითხვით მიმართა, ბრძანება, რომლითაც ექსპერტები წაბრძანდნენ მონიტორინგზე, ფაქტიურად ითვალისწინებდა დისტანციურ შესწავლას, ეს არ იყო მხოლოდ დოკუმენტაციის გამოთხოვა და ასევე, ბრძანებაში იყო მითითებული, რომ ორი კომპონენტის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო შეფასება და სთხოვა ექსპერტებს, მეორე კომპონენტის - 2.3. კომპონენტის შეფასებაც წარმოედგინათ.

ექსპერტმა ბატონმა ტიტე ბოლქვაძემ უპასუხა, რომ 2.3 კომპონენტი აღწერილ იქნა დეტალურად და თვლიან, რომ ამ კომპონენტში დაწესებულებას ამ ეტაპზე არანაირი ხარვეზი არა აქვს და რეკომენდაცია არ ესაჭიროება.
ექსპერტთა ჯგუფმა 2.3 კომპონენტი თავიდან შეისწავლა და 2.3 კომპონენტის არც ერთ ინდიკატორში ხარვეზი და რეკომენდაცია არ შეინიშნება, შესაბამისად, ეს ასახულია დასკვნაშიც.

ექსპერტების მიერ საკითხის განხილვის შემდეგ ისაუბრა დაწესებულების დირექტორმა, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის, ამ რთული გარემოების გათვალისწინებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმება წარმოდგენილ დასკვნას, მათ გაითვალისწინეს ყველა რეკომენდაცია. მან ისაუბრა აღჭურვილობის მონტაჟის საკითხთან დაკავშირებით და თქვა, რომ ამჟამად მიმდინარეობს ახალი სახელოსნოს მშენებლობა და სპეციალურად არ მოხდა მისი დამონტაჟება ძველ შენობაში, ვინაიდან საჭირო გახდებოდა მისი ისევ ხელახლა მოხსნა და დამონტაჟება. მისი თქმით, ხელშეკრულებებში გაწერილია ერთ-ერთი პუნქტი, რომლითაც მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მოახდინოს ამ დანადგარების მონტაჟი. ასე რომ, როგორც კი დასრულდება სამშენებლო სამუშაოები, მისი მონტაჟიც მყისიერად განხორციელდება და მან დაადასტურა, რომ

კონცენტრაციები შემდეგში იწყება და ეს ხელს არ შეუშლის სწავლების განხორციელებას. თავმჯდომარის შენიშვნას, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებს მხოლოდ ნივთების დალაგებას და არა მთლიანი მომსახურეობის მიღება-დამონტაჟებას, საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ დამონტაჟების შემდეგ შედგება ახალი მიღება-ჩაბარების აქტი. მან დაამატა, რომ ყველაფერი, რასაც პროგრამა გულისხმობს, ყველანაირი აღჭურვილობა არის შეძენილი და მოტივაციაც არის ისეთი მაღალი, რომ ის დარწმუნებულია, რომ სასურველი შედეგი დადგება პროგრამის დასრულებისას.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით ქალბატონ ნანის, თუ როგორი რეკომენდაცია ჰქონდა კოვიდ-19 ის გათვალისწინებით, ანუ ამ ეტაპზე კი შეფასდა, როგორც შესრულებული, თუმცა ის ფაქტი, რომ მოქმედებაში ვერ ნახა ექსპერტმა, როგორ უნდა მოქცეულიყო საბჭო შემდგომში.

აღნიშნულზე ქალბატონმა ნანიმ უპასუხა, რომ აღჭურვილობის დამონტაჟების და ამოქმედების შემდეგ, დაწესებულებამ საბჭოს უნდა მიაწოდოს დამადასტურებელი ფოტო-ვიდეო მასალა, თან დაურთოს დამონტაჟებაზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი. მან გამოთქვა სურვილი, რომ ოქმშიც იყოს ეს საკითხი ასახული და ცენტრი უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებამ მოგვაწოდოს დამატებითი დოკუმენტაცია, როცა დასრულდება სახელოსნოების მშენებლობა და აღჭურვილობის დამონტაჟების პროცესი და ცენტრი საბჭოსთვის უზრუნველყოფს მიწოდებას.

თავჯდომარემ მიმართა საბჭოს შუამდგომლობით, რომ განისაზღვროს გონივრული ვადა, რათა დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად კონცენტრაციების მოდულების დაწყებამდე ყველა ქმედება იქნება შესრულებული და მან მიმართა ექსპერტებს კითხვით, ხომ არ შეეძლოთ დაესახელებითათ დაახლოებით რა ვადაში იწყება ეს მოდულები, რომელთა განხორციელებისთვისაც დამონტაჟებული ტექნიკა არის აუცილებელი სწავლის შედეგების მისაღწევად.
კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს, იანვარში უწევთ ამ შენობის ჩაბარება, მისი ვარაუდით თებერვალში უკვე დამონტაჟებული უნდა იყოს.

საბჭოს წევრმა, ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ საბჭოს ასევე შესთავაზა, ვადის განსაზღვრისას ნახონ სასწავლო გეგმაში, როდის იწყება ის მოდულები, რომლებსაც სჭირდება ეს მოწყობილობები და იმის მიხედვით მოხდეს მოთხოვნა და დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნას არა უგვიანეს ამ განსაზღვრული ვადისა.

საბჭოს თავჯდომარე დაეთანხმა ამ მოსაზრებას და დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს მიეწოდოს ექსპლუატაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ცნობის სახით სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კონცენტრაციების მოდულების დაწყების ვადამდე.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით კონტენტრაციები იწყება 26-ე კვირიდან, ზუსტი თარიღი არ არის მითითებული.

ასევე, ქალბატონმა შორენამ გამოხატა ინტერესი სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით, მან იკითხა, თუ რა სასწავლო რესური წარმოადგინა კოლეჯმა და აქვე აღნიშნა, რომ ქართულ ენაზე, განსაკუთრებით ამ მიმართულებით სასწავლო რესურსები ჭირს და ვინაიდან რეკომენდაცია იყო, რომ სასწავლო რესურსი უნდა ყოფილიყო მოძიებული, ის დაინტერესდა, რა ტიპის რესურსი მოიძია კოლეჯმა, თავად შეიმუშავეს აღნიშნული რესურსი, თუ უკვე არსებული რესურსი გამოიყენეს.

დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ გამოიყენეს არსებული რესურსი, კერძოდ, ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის პროფესორების მიერ მომზადებული ორი წყარო, რომელიც აღწერილობით ნაწილში შეეფერება ამ მოდულს, ეს ლიტერატურა არსებობდა მანამდეც, უბრალოდ მათ არ ჰქონდათ წარმოდგენილი.
შორენა ჯაფარიძემ, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით დარგის სპეციალისტს ჰკითხა, აღნიშნული ლიტერატურა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის იყო განსაზღვრული თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ აღწერილობითი კურსი მისაღებია ორივესთვის, რადგან მისი აზრით ავტომობილის მოწყობილობა ყველამ უნდა იცოდეს, რადგან ის არის აღწერილობითი კურსისთვის.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „აისში“ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,
შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „აისში“ (ს/კ: 227770800) „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ საგანმანათლებლო პროგრამების - „საექთნო განათლ ება“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

პრეზენტაცია საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ რემიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში მთელი პროგრამა არ შეუფასებიათ, მაგრამ წარმოადგენენ მოკლე ინფრმაციას, რაც დასკვნაშიც ასევე აქვთ აღწერილი.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ნანიმ მიმართა კითხვით ექსპერტს, იქიდან გამომდინარე, რომ ერთ დასკვნაში ჰქონდათ წარმოდგენილი ორი პროგრამის თაობაზე მონიტორინგის შედეგები, პრეზენტაცია ორივე პროგრამისთვის გაერთიანებულად ჰქონდათ წარმოდგენილი თუ ცალ-ცალკე, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ორი დამოუკიდებელი პრეზენტაცია ჰქონდათ მომზადებული და ამ ნაწილში მხოლოდ ფარმაციაზე ისაუბრებს.
ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო მოკლე ინფორმაცია პროგრამის შესახებ, მან აღნიშნა, რომ პროგრამა მოდულური ფორმით ხორციელდება, კრედიტების მოცულობა შეადგენს 123/153 კრედიტს ქართულის მოდულის გარეშე და ჩათვლით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში, განხორციელების ადგილი - ცხინვალის გზატკეცილი N9, ქალაქი გორი, გორის მუნიციპალიტეტი. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 80-ით.
სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“, ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა, როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილ შესაბამისობაშია“. მათ მიერ ჩატარებული წარმოება განხორციელდა გამოთხოვილი დოკუმენტაციის შემოწმების გზით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ დისტანციური ვიზიტი არ განუხორციელებიათ. შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები ექსპერტთა მიერ შეფასდა “სრულ შესაბამისობაში” და შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან „სრულ შესაბამისობაში“.
ექსპერტმა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რკომენდაციებით დაიწყო, მან აღნიშნა, რომ გაცემული იყო **შემდეგი სახის რეკომენდაციები**: სასურველია, სასწავლო პროცესის განახლებამდე მოხდეს გეფას მენეჯერების გადამზადება შეფასების ორგანიზების და განხორციელების მიმართულებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობით. ამ რეკომენდაციის შესახებ საბჭოს მოახსენა, რომ შესრულებულია ეს რეკომენდაცია, მათ მიიღეს დაწესებულების მხრიდან გადმოგზავნილი მტკიცებულებები იმის დამადასტურებლად, რომ მოხდა გადამზადება პარტნიორი კომპანია გეფას მენეჯერების. პირველი შეხვედრა/ტრენინგი განხორციელდა 02.08.2020 სს გეფას წარმომადგენლებთან; მეორე შეხვედრა/ტრენინგი განხორციელდა 31.08.2020, შეხვედრის დროს მოხდა სს გეფას ინსტრუქტორების უფლება-მოვალეობების განხილვა.
ექსპერტმა ისაუბრა მეორე რეკომენდაციაზე: სასურველია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ სამართლიანი და ობიექტური შეფასების პრინციპები, რათა კვლავაც დაცული იქნას პროფესიული სტუდენტის უფლებები და სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას მათი შემდგომი განვითარებისვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია შესრულებულია და თქვა, რომ მათ ნახეს ყველა ტიპის დოკუმენტი, რაც გამოგზავნილი იყო, მათ შორის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სტუდენტთა შეფასების წესი, ასვე გამოკითხვის ფორმები, რომელიც შეიმუშავა დაწესებულებამ. მისი თქმით, შეფასების სისტემა ნამდვილად არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე და სამართლიანი და ეს პრინციპები დაცულია. მან თქვა, რომ ასევე ნახეს ჩატარებული ვერიფიკაცია, რომელიც დაწესებულებამ გამოუგზავნათ. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია შეაფასა, როგორც შესრულებული.
ექსპერტმა ისაუბრა ასევე მესამე რეკომენდაციაზე: ახალი რეგულაციების შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ და გააერთიანონ სხვადასხვა დოკუმენტები ერთი და იმავე საკითხებზე გაკეთებული ჩანაწერები, დუბლირების თავიდან ასაცილებლად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ერთი დოკუმენტი აქვს წარმოდგენლი კოლეჯს, სასწავლო პრიცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც გაერთიანებულია ყველა საჭირო იფნრომაცია იმისთვის, რომ სასწვლო პროცესი შესრულდეს ეფექტურად. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს რომ, რეკომენდაცია შესრულებულია და ქვეკომპონენტი შესაბამისია სტანდარტთან.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრეზენტაცია ისეთნაირად გაანაწილა, რომ ყველა კომპონენტის შესახებ ყოფილიყო ინფორმაცია, ამ პროგრამის ფარგლებში შეფასდა 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტები.
ექსპერტმა ასევე წარმოადგინა ფოტო მასალა, რომელიც მიიღო დაწესებულებისგან და ჯგუფმა შეისწავლა, ასევე დაწესებულებისგან მიიღეს აუდიტორიების დატვირთვის სქემა და ცხრილები, სადაც ჩანს, რომელ აუდიტორიებში ხორციელდება ეს პროგრამა. ამ დაწესებულებას პროგრამისთვის აქვს ორი A გარემო, C გარემო და B გარემო. მითითებული აუდიტორიები გათვლილია 20-20 პროფესიულ სტუდენტზე.

გაფორმებულია ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან: პსპ ფარმა, გეფა, გორი ფარმი და სააფთიაქო ქსელი „ბარბარე“. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა კვოტა, რომელიც მოცემული ინფორმაციით თითოეულ პრაქტიკის ობიექტთან შეადგენს 40-40 პროფესიულ სტუდენტს.
რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელი 18 პროფესიული განათლების მასწავლებელია ჩართული, პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი. ექსპერტებმა შეისწავლეს მასწავლებლებისა და ხელმძღვანელის პირადი საქმეები, ასევე ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტაციებზე დაყდნობით, მათ შეძლეს შეფასება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგა ბაქრაძე, წინა ადმინისტრაციუალი წარმოების ფარგლებშიც ნამყოფი იყო ამ დაწესებულებაში, პროგრამის შეფასების მიზნით და ეს მუშაობის ამ ეტაპზე ძალიან დაეხმარათ, რათა სრულყოფილი სურათი ჰქონოდათ შეფასებისთვის.
რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსს, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ გამოგზავნილ ფოტო-მასალას, „Open Biblio“-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებას და დაწესებულების ვებგვერდს, მათი შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. მათ ასევე მოითხოვეს პროგრამის ბიუჯეტი და ბიუჯეტის თანახმად პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 15 პროფესიული სტუდენტი.
2.3. კომპონენტი არის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს აქვს შემუშავებული ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სასწავლო საგანმანათლებლო გარემოს დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას. დაწესებულებაში ხდება პროგრამის შეფასება, სწავლის ხარისხის შეფასებისთვის მოწმდებასაგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო გარემო, პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით. ხარისხის სრულყოფისათვის კოლეჯი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით. დაწესებულება ასევე ეცნობა და იზიარებს სხვა კოლეჯებში არსებულ გამოცდილებასაც.
ექსპერტი ამბობს, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად გადაიხედა და დაიხვეწა კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელიდებულება. ნათლად ჩამოყალიბდა პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმი, დაიხვეწა კვლევისათვის საჭირო გამოკითხვის ფორმები.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი კვლევის შედეგები და კოლეჯის ხარისხის მენეჯერის ანგარიში და რეკომენდაციები; კოლეჯის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებელი და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნების, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განვითარების 2017-2018-2019 წლების დინამიკა; 2017-2018 სასწავლო წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში; პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის 2018, 2019 და 2020 წლის ანგარიშები;

2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება.
ექსპერტთა შეფასებით სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა (არაუმეტეს 40 სთ.), კალენდარული გეგმები შემუშავებულია სასწავლო გეგმის შესაბამისად. ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის სასწავლო გეგმა და 2019-2020

სასწავლო წლის აკადემიური კალენდარული გეგმა, რომელიც წარმოადგენს მოდულების სწორად განხორციელების დადასტურებას.
სასწავლო პროცესის მენეჯერი კოორდინაციას უწევს კოლეჯში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესების ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე. სასწავლო პროცესის მენეჯერი ახდენს პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებას, მათ შორის მათ ინფორმირებას გონივრულ ვადებში. სასწავლო პროცესის მენეჯერი ორგანიზებას უწევს სტუდენტურ აქტივობებს, პროფესიულ სტუდენტთა სოციალიზაციის მიზნით სპეციალური საჭიროების მქონე პირთა საჭიროებების განსაზღვრა-მომსახურებას და ადაპტირებული გარემოს შექმნას და პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფას;
ექსპერტმა ასევე ისაუბრა წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც მათ დაწვრილებით შეისწავლეს. საუბარია იმაზე, ეძლევა თუ არა და რა ვადაში აქვს სტუდენტს მოდულის დადასტურების შეფასების გასაჩივრების საშუალება. ექსპერტის ინფორმაციით, ყველა მოდულის შემთხვევაში, თუ ის წინაპირობაა სხვა მოდულისთვის, ეს ვადები დაცულია, ყველაფერი უზრუნველყოფილია, იმისთვის რომ ეს ვადები შესრულდეს სასწავლო გეგმის დაცვით.
ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, სამართლიანი და ობიექტური. ასევე ისაუბრა ვერიფიკაციის შესახებ და აღნიშნა, რომ ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ახორციელებს პროგრამის „ფარმაცია(სააფთიაქო)“ შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი 2020 წლის 2 ივლისის ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა. ვერიფიკაციის დასკვნა მოიცავს ვერიფიკაციის პროცესის აღწერას და გამოვლენილ ხარვეზებს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
ექსპერტმა წარმოადგინა ფოტო მასალა, რათა საბჭოს წევრებს უკეთესი წარმოდგენა შექმნოდათ კოლეჯის თაობაზე.
დარგის ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ წინა წარმოების ფარგლებში გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია: გადამზადებულნი არიან პარტნიორი კომპანია გრფას ინსტრუქტორების და მენეჯერები, განახლებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი რეგულაციები, შესწავლილ იქნა ვერიფიკაციის დოკუმენტაცია, გაიცა შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით გარკვეული რეკომენდაციები და იმედს გამოთქვამს, რომ შემდეგში გათვალისწინებული იქნება სწავლების პროცესში დაწესებულების მიერ. მან აღნიშნა, რომ კოვიდთან დაკავშირებით ძალიან გართულებულია სწავლების პროცესები.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ მოსაზრება. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულების იურისტი წარადგენდა პრეზენტაციას, მანამდე კი მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, გულმოდგინედ გაწეული სამუშაოსთვის. აღნიშნა, რომ კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე დაწესებულება გადასულია სწავლების ონლაინ რეჟიმზე.
იურისტმა, კიდევ ერთხელ ისაუბრა ყველა იმ სიახლეზე, რაც შეტანილ იქნა განახლებულ რეგულაციებში.

საბჭოს თავჯდომარემ კოლეგებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამაატებითი კითხვები.
საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა რამდენიმე კითხვა. მან აღნიშნა, რომ ტექნიკური საკითხი ჰქონდა განსახილველი, და ნანი დალაქიშვილს მიმართა კითხვით, რამდენად იყო მისაღები ფორმა ორი პროგრამის მონიტორინგის შედეგების ასახვა ერთ დასკვნაში, ვინაიდან მანამდე ასე არ კეთდებოდა.

სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ მისაღებია ერთ ბრძანებით განისაზღვროს ორი პროგრამის მონიტორინგი. შესაძლოა რამოდენიმე პროგრამის მონიტორინგიც განხორციელდეს, ისეთი პროგრამებისა, რომელთა მონიტორინგი საბჭომ ჩანიშნა ერთ ვადაში, ამდენად ოპტიმალურად იგეგმება მონიტორინგის ვიზიტები და შესაბამისად იგება ბრძანებაც, როცა საბჭოს ცალ-ცალკე პროგრამისთვის აქვს ჩანიშნული მონიტორინგები, ასეთ შემთხვევაში დასკვნა იქნება წარმოდგენილი ცალ-ცალკე. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ ერთი დასკვნის საფუძველზე საბჭო ცალ-ცალკე უყრის კენჭს თითოეული პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილებას.

შორენა ჯაფარიძემ ისაუბრა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხზე და აღნიშნა, რომ პრეზენტაციაში ძალიან ბევრ მექანიზმზე იყო საუბარი და აქვს დამაზუსტებელი კითხვა, იმიტომ, რომ მისი თქმით კარგია, რომ დაწესებულება ამდენ სხვადასხვა ტიპის მექანიზმს იყენებს და ერთ-ერთი მექანიზმი, რომელზეც მან ყურადღება გაამახვილა, იყო სხვა დაწესებულებებთან შედარება. მან აღნიშნა, რომ ძალიან კარგი მეთოდია, როდესაც დაწესებულება ადარებს სხვა დაწესებულებას თავის თავს. აქედან გამომდინარე, მას ჰქონდა კითხვა, თუ რას აკეთებდა ამ მიმართულებით დაწესებულება. მეორე კი იყო კვლევების შესახებ, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა. მას აინტერესებდა, ანალიზის შედეგი რამდენად იყო გათვალისწინებული და ასახული გადაწყვეტილებებში, მან აღნიშნა, რომ კვლევის რეალური შედეგი არის მათი რეალიზაცია იმ საქმიანობაში, რასაც დაწესებულება ახორციელებს.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა დაწესებულების ხარისხის მენეჯერმა. მან თქვა, რომ ვინაიდან დაწესებულება არის კერძო კოლეჯი, კერძო კოლეჯების ასოციაციია იძლევა იმის საშუალებას, რომ კოლეჯებმა ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია და გამოცდლება. მან აღნიშნა, რომ ახლა შექმნილია ჯგუფები შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით. მათი პედაგოები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს. ასოციაციას აქვს სწორედ კოლეჯების შედარებითი შეფასების პრაქტიკა დანერგილი. მან ასევე განმარტა, რომ კოლეჯში არსებულ კვლევებზე რეაგირების ერთ-ერთი მაგალითია ფარმაციის პროგრამაზე ქვოტის გაზრდის გადაწყვეტილება. ეს საჭიროება კვლევებიდან გამომდინარე გამოიკვეთა. კვლევამ აჩვენა, რომ მათი კურსდამთავრებულები ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოთხოვნადები არიან. ასევე აღინიშნა, რომ ყველა კვლევაზე არის შესაბამისი რეაგირება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენ პროგრამას ახორციელებდა დაწესებულება. ხარისხის მენეჯერმა უპასუხა, რომ დაწესებულება სამი მიმართულებით ახორციელებს სწავლებას, კერძოდ, ფარმაცია(სააფთიაქო), საექთნო განათლება და ვეტერინარია.

შორენა ჯაფარიძემ ასევე იკითხა, საკმარისი იყო თუ არა ორი A გარემო სწავლებისათვის, ხარისხის მენეჯერმა განმარტა, რომ A გარემო არის სხვადასხვა. B გარემო არის საერთო სამი პროგრამისთვის. სასწავლო გეგმა და ცხრილები ისეა გაწერილი, რომ არ ხდება გადაფარვა და ხელს არ უშლის ერთმანეთს. სასწავლო პროცესი კარგად რეგულირდება ცხრილების საშუალებით.

დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ კოლეჯს ორ ცვლაშიც შეუძლია განახორციელოს სწავლება, როგორც კვოტის განმსაზღვრელ მეთოდოლოგიაშია გაწერილი.

დისკუსიის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ამაგში“ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,
შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ამაგში“ (ს/კ: 417878130) „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ამაგში“ „საექთნო განათლების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით პრეზენტაცია წარადგინეს თავმჯდომარე თამარ რემიშვილმა და დარგის ექსპერტმა თათია კაციტაძემ.
თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა თხოვნით, რომ ვინაიდან დაწესებულების სხვა პროგრამის მონიტორინგი უკვე განიხილა საბჭომ, გამოსვლის ამ ნაწილში ესაუბრა ძირითად განსხვავებებზე. ექსპერტმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბევრი განსხვავება არ არის, ვინაიდან ექსპერტებს წინა ადმინისტრაციული წარმოების დასკვნაში ჰქონდათ მეტწილად წარმოდგენილი 2.3 და 2.4 კომპონენტი, რაც როგორც უკვე მოისმინა საბჭომ „სრულ შესაბამისობაშია“. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები იყო განსხვავებული და ამას წარმოადგენს. „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სპეციალურ ჩანაწერებს კლინიკასა და დაწესებულებას შორის დასარეგულირებელი საკითხების შესახებ. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განაახლოს გაფორმებული ხელშეკრულებები. ექსპერტი ადასტურებს, რომ ნამდვილად აქვთ გათვალისწინებული ეს რეკომენდაცია ხელშეკრულებაში. ასევე, რეკომენდაცია იყო ვერიფიკაციასთან დაკავშირებით. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ექსპერტის თქმით აღნიშნული საკითხი დაწესებულებას ასახული აქვს შესაბამის მარეგულირებელ წესში. მათ მიერ გამოგზავნილ დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ ვერიფიკაცია მიმდინარეობს ამ მიმართულებებით და ასევე, დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი არის ჩატარებული ვერიფიკაციიის დასკვნა ერთ-ერთ მოდულში - ჰისტოლოგიის მოდულში განხორციელებულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია. ამ ნაწილშიც ექსპერტები ადასტურებენ, რომ შესრულებულია ეს რეკომენდაცია დაწესებულების მიერ. ექსპერტმა ასევე, ისაუბრა კლინიკური სწავლების განხორციელების ობიექტებთან დაკავშირებით და მან წარმოადგინა სხვადასხვა ობიექტებზე სტუდენტების განაწილების შესახებ ინფრმაცია: სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი - 56 პროფესიული სტუდენტი; შპს „გორმედი“ - 40 პროფესიული სტუდენტი; სს ,,იავნანა“ - 40 პროფესიული სტუდენტი; ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ – 20 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა გადაამოწმეს სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა ყველა ამ მოდულზე და მათი თქმით, სრულად შეესაბამება სტანდარტს. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან წარმოების დროს გადმოგზავნილი იქნა დამატებით გაფორმებული ორი მემორანდუმი. ეს იყო 06.10.2020 გაფორმებული მემორანდუმი და ხელშეკრულება შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან“- 28 პროფესიულ სტუდენტზე. 07.10.2020 გაფორმებული მემორანდუმი და ხელშეკრულება „შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან“ - 14 პროფესიულ სტუდენტზე.

დარგის ექსპერტმა, ქალბატონმა თათიამ აღნიშნა, რომ პრეზენტაცია ამომწურავი იყო, მაგრამ გამოთქვა სურვილი განევრცო რამდენიმე საკითხი. მან ისაუბრა ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე, მისი თქმით ამჟამად სრულად არის გაწერილი ის მინიმალური კომპეტენციები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული პროფესიული მასწავლებელი, რომელიც განახორციელებს პრაქტიკულ სწავლებას და ასევე ხაზგასმულია ის, რომ 7 პროფესიულ სტუდენტზე აუცილებლად იქნება მოწოდებული 1 ექთანი თითოეულ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე.

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა სიტყვა, რათა დეაფქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ისაუბრა დაწესებულების იურისტმა და აღნიშნა, რომ მას სურდა უბრალოდ შეხსენება საბჭოსთვის, რომ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით რეკომენდაცია მათ წინა საბჭოზეც გასწორებული ჰქონდათ, მაგრამ ეს მაინც მოხვდა რეკომენდაციებში, და ახსნა, რომ ეს ხარვეზი გამოწვეული იყო იმით, რომ ხელშეკრულება იყო ძველი კანონმდებლობით აწყობილი, და იმ პერიოდში რადგან იყო კორონა ვირუსი და განსაკუთრებით ჰოსპიტლებს ქონდათ კომუნიკაციის პრობლემა, მათ ვერ მოახერხეს ხელშეკრულებების განახლება, თუმცა ექსპერტებმაც აღნიშნეს, რომ დღეს კი არა წინა საბჭოზეც გამოსწორებული ჰქონდა დაწესებულებას ეს საკითხი.

ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საექთნო განათლების ხარისხი ძალიან მნიშვნელოვანია, არსებულმა სიტუაციამ კიდევ უფრო კარგად ცხადყო ეს, თუმცა, განაცხადა, არ უნდა გამოვრიცხოთ ის ფაქტი, რომ როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლებიც ამ პროგრამებს განახორციელებენ და ისინი ასახელებენ იმ კლინიკებს, საბჭოს რჩება შთაბეჭდილება, რომ, განსაკუთრებით რეგიონებში, ეს ერთიდაიგივე კლინიკებია, მაგალითად, გორის შემთხვევაში, შპს გორმედი, გორში არსებული ყველა დაწესებულება უშვებს თავის სტუდენტებს იქ. მას ამ დაწესებულებას მიმართ ეჭვები არ აქვს და დარწმუნებულია, რომ შემოწმებულია და პრობლემები არ არის, თუმცა ძალიან კარგი იქნებოდა თუ მომავალში საბჭოს ექნება ამ კლინიკებზე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელი საგანმანათლებლო დაწესებულებები თანამშრომლობს კონკრეტულ კლინიკებთან და რა არის იმ ჯამური სტუდენტების რაოდენობა, რომელიც იქ გადიან კლინიკურ პრაქტიკას. შეუძლებელია, რომ 200 და 300 სტუდენტი მიიღოს რომელიმე ერთმა კლინიკამ. საბჭოს წევრმა გამოთქვა სურვილი, რომ ეს აუცილებლად აღინიშნოს ოქმში და სამომავლოდ რაიმე მექანიზმებით დარეგულირდეს ეს საკითხი.
საკითხთან დაკავშირებთ კომენტარი გააკეთა დაწესებულების ხარისხის მენეჯერმა, მისი თქმით, შპს გორმედს შიდა ქართლში აქვს 3 ფილიალი, ეს გახლავთ ხაშურის, ქარელისა და გორის ფილიალი. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან სასწავლო დაწესებულება არის გორში, მათ ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ გორში არსებულ ყველა კლინიკასთან, მისი თქმით კლინიკამ დადო ხელშეკრულება დაწესებულებასთან არა მხოლოდ გორის მასშტაბით, არამედ ქარელისა და ხაშურის მასშტაბითაც. ხარისხის მენეჯერმა აქვე აღნიშნა, რომ ეს აძლევს შესაძლებლობებს სტუდენტებს, რომ თუ ისინი არ იმყოფებიან გორში, მათ არ მოუწევთ პრაქტიკებისთვის ჩასვლა და გაივლიან მას მათთვის ხელსაყრელ ტერიტორიაზე.
ამ კომენტარზე საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მას კონკრეტული ეს სასწავლო დაწესებულება არ უგულისხმია და მისი სურვილია, რომ ზოგადად იყოს ეს ინფორმაცია, რადგან შემდგომში ისევე როგორც საბჭოს წევრებს, ასევე ექსპერტებს მიეცეთ სწორი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა რომ, აღნიშნული რეკომენდაცია მისი აზრით მიემართება ცენტრს და მან მადლობა გადაუხადა ქალბატონ შორენას ამ შენიშვნისთვის, გაიზარდა საექთნო განათლების და ზოგადად

სამედიცინო განათლების მიმართულების პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების რაოდენობა და ამ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. აქვე აღნიშნა, რომ ბოლო საბჭოებზე კონტიგენტის გაზრდის რამოდენიმე წარმოებაც იყო, რომლის ფარგლებშიც ცალსახად იკვეთება, რომ ერთიდაიგივე კლინიკები სახელდება და მათ ალბათ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის უწევთ მომსახურების გაწევა. მისი შეფასებით ნამდივლად სწორი მიდგომაა და თქვა, რომ ცენტრი ეცდება ამ საკითხის ანალიზი გააკეთოს, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მომავალ წელს საექთნო განათლების პროგრამების თემატურ მონიტორინგს აპირებს ცენტრი და ალბათ იმ ფარგლებში ეს კრიტერიუმი იქნება ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელობანი. იქნება შესაბამისი მონიტორინგის გეგმა შესაბამისი კრიტერიუმებითა და რისკებით.
თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგი იქნება და თქვა, რომ ძალიან დაეხმარება ეს ანალიზი საბჭოს გადადაწყვეტილებების მიღებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ამაგში“ „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,
შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ამაგში“ (ს/კ: 417878130)„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. სსიპ - კოლეჯი „იბერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა-მეჩაიეობა“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

პრეზენტაცია საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ირაკლი სალუქვაძემ.
პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის, „მეხილეობა - მეჩაიეობის“ ფარგლებში მონიტორინგი დაინიშნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 სექტემბრის ბრძანებით N880862 ბრძანებით, მონიტორინგის მიზანი იყო 2.3 და 2.4 კომპონენტების შემოწმება და ასევე, კოლეჯის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზი.
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ასევე დამატებით მოხდა გამოთხოვა დოკუმენტების, რომელიც გონივრულ ვადაში იქნა წარმოდგენილი დაწესებულების წარმომადგენლების მიერ. შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ დაწესებულებამ წინა წარმოების ფარგლებში დაფიქსირებული უზუსტობის აღმოფხვრისა და ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, კოლეჯის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის ნაცვლად შეიმუშავა სტანდარტის მოთხოვნებთან თავსებადი 2020-2026 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნების, ამოცანების, შესრულების ინდიკატორების, პასუხისმგებელი და ჩართული პირების ველებს ვადების გათვალიწინებით.

აღნიშნული გეგმის შემუშავებას წინ უძღვის ე.წ. SWOT ანალიზი, რომლის გამოყენებითაც კოლეჯმა შეისწავლა არსებული სიტუაცია, შეაფასა დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე გაანალიზა შესაძლებლობები და საფრთხეები. ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ძლიერი მხარეების გამოყენებით ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მიზნები და შესაბამისი ამოცანები, რომლებიც ორიენტირებულია სუსტი მხარეების გაძლიერებასა და შემდგომ განვითარებაზე. შემუშავებული სტრატეგიული გეგმა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა წინა წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება და აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა რეკომენდაცია, რაც კი იყო გაცემული, შესრულებულია. აღნიშნული წარმოების ფარგლებში, რომელიც განხორციელდა დოკუმენტების გამოთხოვის და შესწავლის სახით, მიეცა კოლეჯს ორი განმავითარებელი რეკომენდაცია. ერთ-ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია გულისხმობს, იმას რომ აცდენა ჰქონდათ ორ რეგულაციაში, რომელიც უნდა მოეყვანათ შესაბამისობაში, რაც შესრულებულია.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით არაფერი ჰქონდა დასამატებელი, რეკომენდაციები ძირითადად სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს შეეხებოდა, სადაც ყველაფერი კარგადაა გაწერილი. უშუალოდ დარგს რაც ეხებოდა, მან აღნიშნა ვირტუალური გასაუბრებით და ვიდეო დათვალიერებით მიღებულ ინფორმაციას გაეცნო და არ აქვს შენიშვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს მჭიდრო ჩართულობისთვის და აღნიშნა, რომ მათ მიერ მიცემული ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს და ამჟამად მონიტორინგის ფარგლებში პროგრამა შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. მან მადლიერება გამოხატა შენიშვნებისა და რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ ცდილობს ყველა მიღებული რეკომენდაცია იქნას გათვალისწინებული, როგორც ახლა, ისე შემდეგშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „მეხილეობა-მეჩაიეობა“ - ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოებასსიპ - კოლეჯ „იბერიაში“ (ს/კ: 212682051) „მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი)

ექსპერტმა ნანა შარაბიძემ საბჭოს მიმართა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 და მე-5 საკითხი ორივე არის კავკასიონზე, აღნიშნა, რომ ცალ-ცალკე ქონდა პრეზენტაციები მომზაებული, თუმცა მსგავსია და ამიტომ იკითხა, თუ როგორ წარედგინა ის საბჭოსთვის.
თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ვინაიდან ცალ-ცალკე უნდა იქნას გადაწყვეტილებები მიღებული, პრეზენტაციასაც საბჭო ცალ-ცალკე მოისმენს, თუმცა სთხოვა, რომ მეორე პრეზენტაციაში იდენტური საკითხები არარ ყოფილიყო განხილული და ყურადღება გამახვილებულიყო ძირითად განსხვავებებზე.
ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად ადგილების გაზრდასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია“ (სააფთიაქო). ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ სექტემბერში იქნა წარმოდგენილი მოთხოვნა ადგილების გაზრდასთან დაკავშირებით, დაჩქარებული წესით წარმოების ფორმატში. შესაბამისად შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, ნანა შარაბიძისა და მზია ბაკურიძის შემდგენლობით.
რაც შეეხება წინა ვიზიტის დროს გაცემულ რეკომენდაციებს, წინა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის სექტემბერში, როდესაც მოხდა ამ საგანამანათლებლო პროგრამის დამატება, გაცემული იყო ორი ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია. ექსპერტის თქმით, ორივე რეკომენდაცია დაწესებულებამ მალევე გაითვალისწინა და როდესაც წარმოუდგინეს ექსპერტებს საგანმანათლებლო პროგრამა, ეს ორივე შენიშვნა გათვალისწინებული იყო.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა ადგილების რაოდენობაზე და აღნიშნა, რომ იმ წარმოების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 60 - ით ხოლო ამჟამინდელი წარმოების ფარგლებში დაწესებულება ითხოვს 42 ადგილის დამატებას, რაც საერთო ჯამში 102 პროფესიული სტუდენტის ადგილს წარმოადგენს (ქ.თბილისი).
რაც შეეხება რესურსებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ საკმაოდ ბევრი დოკუმენტის გამოითხოვეს, გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნა და მისი შესაბამისობა პროგრამასთან.გარდა ამისა, მათ შეამოწმეს მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია, დისტანციურად ჩაატარეს გასაუბრებები და დაათვალიერეს დაწესებულების სასწავლო გარემო. ექსპერტმა წარმოადგინა A, B და C გარემოების ფოტოები. მან აღნიშნა, რომ A გარემო 51 პროფესიულ სტუდენტზეა გათვლილი და სააფთიაქო დახლიც არის წარმოდგენილი. ასევე B გარემო - 17 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო C გარემო - 26 პროფესიულ სტუდენტზე პრაქტიკული მეცადინეობისთვის, ხოლო უშუალოდ ლაბორატორიული მეცადინეობისთვის - 17 პროფესიულ სტუდენტზე. რაც შეეხება მატერიალურ რესურსებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამაზე დარგის ექსპერტი უფრო დაწვრილებით ისაუბრებს, თუმცა დაამატა, რომ მათი შეფასებით მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს სტანდარტებს.
რაც შეეხება ადამიანურ რესურსებს, პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და რაოდენობა საკმარისია.
საგანმანათლებლო რესურსებიც საკმარისი რაოდენობით არის. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ფარმაციის პროგრამაში 8 პროფესიული მოდული გადის დაწესებულების გარეთ, პრაქტიკის განამხორციელებელ დაწეებულებაში. ასეთი ორი დაწესებულებაა, ესაა შპს „იბერიფარმა+“ - 8 პროფესიული მოდული - 15 სტუდენტი და შპს „ავერსი - ფარმა“ – 8 პროფესიული მოდული - 60 სტუდენტი ყოველ მიღებაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ, დისტანციური გასაუბრების დროს, ექსპერტები ესაუბრნენ „ავერსი- ფარმას“ წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა ხელშეკრულების პირობები.
რაც შეეხება სტანდარტთან შესაბამისობას, ექსპერტებმა ყველა კომპონენტში დააფიქსირეს, რომ არის სრულად შესაბამისობა, თუმცა გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც უშუალოდ საგანამანათლებლო პროგრამის განვითარებას, 2.3.1 კომპონენტს, ეხება. ადგილების გაზრდასთან დაკავშირებით მათ ჰქონდათ საუბარი პრაქტიკული კომპონენტის განახორციელებლებთან, მაგრამ პროგრამის განვითარების თვალსაზრისით გამოკითხვის დროს აღმოჩნდა, რომ კითხვარები შემუშავებული აქვთ პროფესიული სტუდენტებისთვის,

პროფესიული მასწავლებლებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის. თუმცა, აქ არ ჩანს დამსაქმებლები, პოტენციური დამსაქმებელები და უშუალოდ დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. გაცემული რეკომენდაცია ზუსტად ამას ეხება, კერძოდ, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე დაიწყებს ზრუნვას, დაწესებულებამ აუცილებლად უნდა გაითვალწინოს აღნიშნული კომპონენტიც (დამსაქმებლის გამოკითხვა). ექსპერტებმა ამავე დროს გადაამოწმეს ზოგადი მოდულების განამხორციელებელი მასწავლებლების ჩართულობა სხვა პროგრამებშიც და უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში პრობლემას ნამდვილად არ წამოადგენს მათი ჩართულობა, მათი დატვირთვის თვალსაზრისით. ამავე დროს გადამოწმდა უშუალოდ B გარემოს დატვირთვის სქემაც, რაც ასევე არ წამოადგენდა პრობლემას. B გარემო საკმარისია იმისათვის, რომ სხვა დანარჩენ პროგრამებთან ერთად დატვირთული იყოს ამ პროგრამისთვის.

დაწვრილებით მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ პირველად იყო დისტანციურ ჩართვაზე და ხაზი გაუსვა, რომ ძალიან რთულია მატერიალური რესურსის სათითაოდ დათვალიერება, მას დაწვრილებით უწევდა ეკითხა თითოეულ დეტალზე, და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყო აღნიშნულ პროცესს და განმარტა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსი - თვალსაჩინოებები, სიმულაციური გარემო, იმიტირებული აფთიაქი და სხვა საჭირო ატრიბუტები დაწესებულებას აქვს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებითაც 8 მოდულის პრაქტიკული ნაწილი ძირითადად აფთიაქებში ხორციელდება და თეორიული კომპონენტი ტარდება ადგილზე. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული ობიექტები არის აღჭურვილი, დაწესებულებას ყველა მასალა და ტექნიკური აღჭურვილობა აქვს ადგილზე, რაც სავსებით საკმარისია ამ პროგრამის განხორცილებისთვის და ზღვრული რაოდენობის გაზრდისათვის.

დარგის ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას ჰყავს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ახორციელებს სწავლებას და აქედან 13 დარგობრივი სპეციალისტია.

აქვე აღნიშნა, რომ გასაუბრება ჰქონდათ, როგორს პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე დამსაქმებელთან, „ავერსი- ფარმას“ წარმომადგენელთან. აღინიშნა, რომ კერძო კოლეჯების ასოციაციასთან ერთად მუშაობენ შეფასების ინსტუმენტებზე, დისტანციური სწავლების მეთოდებზე, რომელიც აბსოლუტურად შეიცვალა და ეს ცვლილებაც დაწესებულებას ბრძანების სახით აქვს აღნიშნული.

დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ ძალიან კარგად აქვთ განაწილებული პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, რომელიც დებულებაშია გაწერილი, რა ევალება, რისი ვალდებულება აქვს ამ პროგრამის ხელმძღვანელს.

დარგის ექსპერტმა გამოხატა სურვილი, რომ არა მარტო საექთნო განათლების, არამედ ფარმაციის მიმართულებითაც გაკეთდეს ანალიზი, თითოეული სააფთიაქო ქსელი რამდენ დაწესებულებასთან თანამშრომლობს. ბოლოს დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათი დასკვნით დაწესებულება სრულად შესაბამება სტანდარტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბატონმა რაინდი ლომაიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ წარმოება დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა, მათ მაინც მოახერხეს სრულად დაეთვალიერებინათ შეფასებისთვის საჭირო ფიზიკური გარემო, პრეზენტაციაში გამოტანილი ფოტოები, კიდევ ცოტაა იმასთან მიმართებით, რაც წარმოების დროს იქნა გადაღებული. აქვე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი სასწავლებელი წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა და, შესაბამისად, უფრო და უფრო მეტი ინვენტარისა და რესურსის წარმოდგენა უნდათ, რათა მეტი შესაძლებლობა მისცენ სტუდენტებს განათლებისათვის და ხელი შეუწყონ მათ კვალიფიციურ კადრებად ჩამოყალიბებას. მან ასევე აღნიშნა დამსაქმებლების ფართო ჩართულობა პროგრამების შემუშავების და განხორციელების პროცესში.

საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ როდესაც კეთდება გამოკითხვა, დამსაქმებლები აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულებიდა არა მარტო პოტენციური დამსაქმებლები, ძალიან მნიშველოვანია იმ დამსაქმებლების გამოკითხვა, სადაც დასაქმდნენ კურსდამთავრებულები. ეს არის საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკა, რომელიც ასახავს პროფესიულ განათლების ხარისხს. ამიტომ, ამ შემთხვევაშიც და სხვა შემთხვევაშიც, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ კვლევებზე, ამ ტიპის გამოკითხვები ეფექტურია, თუ ასევე უკვე დასაქმებულ სტუდენტზე ეკითხები დამსაქმებელს, მის უნარ-ჩვევებზე, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს პროგრამა, სწავლების მეთოდოლოგია და ა.შ. ამიტომ, კარგი იქნება, თუ დაწესებულება ასეთი ტიპის გამოკითხვას განახორციელებს დასაქმებიდან მინიმუმ 6 თვის და ერთი წლის შემდეგ.

დაწესებულების დირექტორი საბჭოს წევრის კომენტარს დაეთანხმა და აღნიშნა, რომ სავსებით ეთანხმება ამ რეკომენდაციას და აუცილებლად გაითვალისწინებს, რადგან, პირველ რიგში, თავად დაწესებულებისთვისაა ხელსაყრელი განვითარებისა და პოტენციალის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისათვის " დანართით განსაზღვრულ „ფარმაციის (სააფთიაქო)" პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე ქალაქ თბილისში.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს" (ს/კ:412683813) დანართით განსაზღვრულ „ფარმაციის (სააფთიაქო)" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 102-ით ქალაქ თბილისში **(დანართი 1).** გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ „კავკასიონისთვის" საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი)

საკითხი წარადგინეს ნანა შარაბიძემ და მზია ბაკურიძემ. ექსპერტმა აღნიშნული წარმოების განხილვის დასაწყისში აღნიშნა, რომ ფაქტიურად არ არსებობს განმასხვავებელი ფაქტორები აღნიშნულ საბჭოზე განხილული წინა საკითხისგან. მან აღნიშნა, რომ, მიუხედავად განსხვავებული მისამართებისა, სივრცეებიც იდენტურია და წარმოადგინა შესაბამისი ფოტო მასალა.

გარდა ამისა, ნანა შარაბიძემ განმარტა, რომ რატომღაც დაწესებულებამ ჩათვალა, რომ 60 ადგილი ჰქონდათ განსაზღვრული ავტორიზაციის საბჭოს მიერ და ითხოვდნენ დამატებიტ 42 ადგილს, რომ ჯამში 102 ადგილი ჰქონოდათ. თუმცა ექსპერტმა თქვა, რომ მათ გადაამოწეს პირველი გადაწყვეტილება და იქ არის 56 ადგილი ქალაქ ქუთაისში, რომელზეც მათ მიღებული აქვთ პროგრამის განხორციელების უფლება. ამას ემატება ის 42 ადგილი, რასაც ამ წარმოებაზე ითხოვს დაწესებულება და ექსპერტებიც ეთანხმებიან და ჯამში გამოვიდის 98 და არა 102 ადგილი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულება გათვლილი არის 98 ადგილზე, ხოლო რაც შეეხება პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისევ ავერსი-ფარმაა ძირითადი პარტნიორი. გარდა ამისა, მათ ჰყავთ მეორე პარტნიორი, ინდმეწარმე „ირინა ჯანელიძე“, რომელიც 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას აპირებს ერთდრულად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოების ფარგლებში ირმა ჯანელიძეს არ გასაუბრებია, ძირითადად ავერი-ფარმა იყო ჩართული დისტანციური წარმოების დროს და ამიტომ სრული ინფორმცია აქვთ როგორც ქუთაისზე, ასევე თბილისზე.
დანარჩენი კი აბსოლუტურად იდენტური გარემოა, უბრალოდ სხვადასხვა შენობაში, აღნიშნა ექსპერტმა, და ხაზი გაუსვა დირექტორის კომენტარს, რომ მათ სურთ თანაბარი შესაძლებლობები და პირობებეი შეუქმნან დაინტერესებულ პირებს როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია დაწესებულების მხრიდან მსგავსი დამოკიდებულება და დაამატა, რომ ზოგადად ხშირი არ არის ასეთი იდენტური პირობები დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში.

ასევე დამაზუსტებელი კითხვა ქონდა შორენა ჯაფარიძეს. მან იკითხა A გარემოში 51 სტუდენტი ერთ გარემოში იყო თუ არა, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ერთ გარემოში იყო და დააზუსტა, რომ დიდი სივრცეაღნიშნული A გარემო. მან აღნიშნა, რომ თეორიული კურსი ერთად ტარდება, ხოლო პრაქტიკული კურსის დროს შუაზე იყოფა ჯგუფი. ხოლო მაშინ, როცა პრაქტიკული კურსის ფარგლებში ლაბორატორიულ სამუშაოს ასრულებენ,სტუდენტები 3 ჯგუფად იყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საზოგადოებრივი კოლეჯ „კავკასიონისათვის“დანართით განსაზღვრულ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ქალაქ ქუთაისში.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს“ (ს/კ:412683813) დანართით განსაზღვრულ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა და განესაზღვროს 98-ით ქალაქ ქუთაისში **(დანართი 2).** გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა ცნობის სახით გააჟღერა ინფორმაცია, რომ შემოსულია წერილი კოლეჯიდან შპს „ხვალინდელი წარმატებისათვის“, რითაც დაწესებულება გვაცნობებს, რომ კოლეჯის სახელწოდება არის ზოგადი და არ ჩანს, რომ კოლეჯი საავიაციო მიმართულების პროგრამებს ახორციელებს და ამდენად, სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის და აპლიკანტებისთვის, პროგრამების მოძიება არის გართულებული და აქედან გამომდინარე, კოლეჯს შეუცვალეს სახელწოდება და დაერქვა „შპს საქართველოს საავიაციო აკადემია“. წერილს ასევე ერთვის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც გადამოწმდა საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც არ შეცვლილა და არის იგივე. „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანების თანახმად, დაწესებულება ვალდებულია აცნობოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას დადგენილ ვადაში.
საბჭომ ცნობად მიიღო მიწოდებული ინფორმაცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 16:08 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი 1

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 0916	123	153	ქართული	102	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 2

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 0916	123	153	ქართული	98	ქ. ქუთაისი ოცხელის ქ. №2

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) *- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*